ოქმი:**ო05. 3724327001**

თარიღი:**22/11/2024**

ოქმი N 6
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2024 წელი, 21 ნოემბერი
ქ. ოზურგეთი

14.00 -საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ე.გორდელაძე, ვ. ნიჟარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. მახარაძე,გ.კილაძე,ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ.ქარჩავა.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

საკრებულოს წევრმა,სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ე.გორდელაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები.აღნიშნა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 41 130 ათასი ლარით,ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 3 380,0 ლარით, ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების,ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. პროექტის მიმართ კიმისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ: დასაზუსტებელი ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები, პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი მოქალაქეებისთვის.ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი